**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# კერესელიძე შალვა იასონის ძე

**კერესელიძე** შალვა იასონის ძე [12(25). XII. 1913, სოფ. უწერა, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 3. I. 1997, თბილისი], ინჟინერმექანიზატორი, კონსტრუქტორი. საქართვ. სოფ. მეურნ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1992). ტექ. მეცნ. დოქტორი (1960), პროფესორი (1962), საქართველოს დამს. გამომგონებელი (1961), საქართვ. მეცნ. და ტექ. დამს. მოღვაწე (1962). 1943–49 მუშაობდა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტში, 1949–54 – ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების სპეც. საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსად, 1955–62 – საქართვ. სუბტროპ. მეურნ. ინ-ტის პრორექტორად; 1962–71 იყო საქართვ. სოფ. მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინ-ტში დირექტორის მოადგილე და პრობლემური ლაბორატორიის უფროსი, 1971–75 – სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპ. კულტურების მანქანების სამეცნ. და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ინ-ტის დირექტორი და გენ. კონსტრუქტორი. 1975-იდან საქართვ. სოფ. მეურნ. მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ინ-ტში ხელმძღვანელობდა ჩაისა და სუბტროპ. კულტურების მანქანების სამეცნ.-კვლ. და საკონსტრუქტორო ტექნოლ. ლაბორატორიას.

კ-ის ძირითადი შრომები ეხება ჩაისა და სუბტროპ. კულტურების მექანიზაციას. ჩაის საკრეფი მანქანის "საქართველოს" შექმნისა და წარმოებაში დანერგვისთვის სპეციალისტების ჯგუფთან ერთად მიენიჭა ლენინური პრემია (1967), ხოლო ნაშრომისთვის "სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაცია" – კ. ამირაჯიბის სახ. პრემია (1992). დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით.

*თხზ.*: ჩაის მოვლა-მოყვანის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები, თბ., 1964; Индустриальная технология возделывания, сбора, загрузки, выгрузки, транспортировки и переработки чайного листа, Тб., 1972; Механизация горного земледелия и субтропических

культур, Тб., 1988.